# ქალაქ ზუგდიდის ქალაქმშენებლობითი გეგმის შემუშავების დავალება

## ონლაინ გამოკითხვა

ავტორი: ზაზა ბარბაქაძე

დირექტორი: გიორგი შუბითიძე


11.01.2020

## ონლაინ გამოკითხვის მეთოდოლოგია

ქალაქ ზუგდიდის ქალაქმშენებლობით გეგმის შემუშავების დავალების ფარგლებში ჩატარდა ონლაინ გამოკითხვა, რომლის მიზანიც იყო ქალაქ ზუგდიდის მოსახლეობის განწყობებისა და დამოკიდებულებების შესწავლა ხსენებულ პროექტთან დაკავშირებით. გამოკითხვის ონლაინ პლათფორმად გამოყენებულ იქნა ქალაქ ზუგდიდის მერიის Facebook-ის გვერდი, რომელზეც განთავსებულ იქნა ონლაინ კითხვარის ბმული.

ონლაინ გამოკითხვაში მონაწილეობა 314-მა რესპონდენტმა მიიღო. რესპონდენტების საერთო მახასიათებლებს წარმოადგენს:

1) თითოეულ რესპონდენტს გამოწერილი ქონდა ქალაქ ზუგდიდის მერიის Facebook-ის გვერდი;
2) თითოეულ რესპონდენტს ჰქონდა სურვილი მონაწილეობა მიეღო პროექტთან დაკავშირებულ ონლაინ გამოკითხვაში.

ცხადია, ასეთნაირად ფორმირებული შერჩევა არ არის განზოგადებადი ქალაქ ზუგდიდის მთლიან მოსახლეობაზე და მიღებული შედეგები მხოლოდ გამოკითხული 314 რესპონდენტის განწყობილებებს გამოსახავს.

ონლაინ გამოკითხვის მეთოდს, ისევე როგორც სხვა ნებისმიერ კვლევის მეთოდს, აქვს მისთვის დამახასიათებელი დადებითი და უარყოფითი თვისებები. ძირითად უარყოფით თვისებას წარმოადგენს გამოკითხვის მიმდინარეობა მეტად არაფორმალურ გარემოში. მართლაც, ონლაინ პლათფორმაზე განთავსებული გამოკითხვის ბმული შესაძლოა, რესპონდენტების ნაწილის მხრიდან ისევე სერიოზულად არ იქნას აღქმული, როგორც იქნებოდა პირისპირ ინტერვიუს შემთხვევაში. გარდა ამისა, დამატებით უარყოფით ფაქტორს წარმოადგენს ის გარემოება, რომ გამოკითხვის მიმდინარეობისას თუ რომელიმე კონკრეტული შეკითხვის შემთხვევაში რესპონდენტს დასჭირდება დამატებითი ინტერპრეტაცია შეკითხვის სწორად აღქმისთვის, მის გვერდით, სავარაუდოდ, არავინ იქნება ისეთი, ვინც რესპონდენტს ამ ტიპის დახმარებას გაუწევს.

რაც შეეხება კვლევის მეთოდთან დაკავშირებულ დადებით ფაქტორს, მას წარმოადგენს ონლაინ გამოკითხვაში მონაწილეობის სრული ნებაყოფლობითობა. მართლაც, თუკი პირისპირ ინტერვიუს შემთხვევაში რესპონდენტს შეიძლება ინტერვიუერის მიმართ ანგარიშვალდებულების გრძნობა გაუჩნდეს, ონლაინ გამოკითხვა ხსენებულისგან სრულიად თავისუფალია - რესპონდენტს შეუძლია, თავისი დამოკიდებულებების შესაბამისად, უპასუხოს მხოლოდ იმ კითხვებს, რომელზე პასუხის გაცემასაც თავად მიიჩნევს საჭიროდ.

## ძირითადი ნაწილი

ონლაინ კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 314 რესპონდენტი, რომელთა 51.9% მამრობითი, ხოლო 48.1% მდედრობითი სქესის წარმომადგენელ მოსახლეობას მიეკუთვნება.

გამოკითხული რესპონდენტების დიდი ნაწილი წარმოადგენს ზრდასრულ მოსახლეობას. მართლაც, რესპონდენტთა 88.9% 19-60 ასაკობრივ ინტერვალში ხვდება - არასაპენსიო, ზრდასრული ასაკის მოსახლეობის წილი მთლიან რესპონდენტებში. რესპონდენტების დარჩენილი ნაწილი შემდეგნაირად ნაწილდება: რესპონდენტების 6.1% წარმოადგენს 18 წლამდე, ხოლო 5.1% 60 და მეტი ასაკის მოსახლეობას.

მოსახლეობის დამოკიდებულება სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში ქალაქ ზუგდიდის[1] როლთან დაკავშირებით  წარმოდგენილია დიაგრამა N1-ზე.

**დიაგრამა N1[2]**




გამოკითხულთა ყველაზე დიდი ნაწილი - 69.4% ზუგდიდს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ეკონომიკურ ცენტრად მიიჩნევს, 58% მიიჩნევს, რომ ზუგდიდი სამეგრელო-ზემო სვანეთის კულტურულ ცენტრს წარმოადგენს, ხოლო 37.6%-ის აზრით ზუგდიდი

[1] ქვემოთ ტერმინის „ქალაქი ზუგდიდი“ ნაცვლად გამოყენებული იქნება ტერმინი „ზუგდიდი“

[2] აღნიშნულ კითხვაზე რესპონდენტს საშუალება ჰქონდა დაეფიქსირებინა 1-ზე მეტი პასუხი. ეს არის მიზეზი იმისა, თუ რატომ არის 100%-ზე მეტი დიაგრამაზე ასახული პროცენტული წილების ჯამი. ნებისმიერი ქვემოთ წარმოდგენილი დიაგრამის შემთხვევაში, რომელზე დატანილი პროცენტული წილების ჯამი აღემატება 100%-ს, მიზეზი არის იგივე - რესპონდენტს შეეძლო კითხვაზე ერთზე მეტი პასუხის დაფიქსირება.

სამეგრელო-ზემო სვანეთის სატრანსპორტო ცენტრია. გამოკითხულთაგან მცირეა იმ მოსახლეობის წილი, რომელიც ზუგდიდის როლს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებლად არ აღიქვამს. მიღებული მონაცემების მიხედვით, გამოკითხულთა მხოლოდ გამოკითხულთა 9.9% აფიქსირებს აღნიშნულ პოზიციას.

ქალაქის მდებარეობაზე მოქმედი გარეფაქტორებიდან მნიშვნელოვანია ოკუპირებულ აფხაზეთთან სიახლოვე. მოსახლეობის დამოკიდებულება იმასთან დაკავშირებით, თუ რა გავლენას ახდენს აფხაზეთთან სიახლოვე ზუგდიდის განვითარებაზე ასახულია დიაგრამა N2-ზე.

**დიაგრამა N2**




როგორც დიაგრამაზე ჩანს, გამოკითხული მოსახლეობის ძირითადი ნაწილის აზრი ორადაა გაყოფილი: რესპონდენტების 46.5% თვლის რომ აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასთან ზუგდიდის სიახლოვე მეტ-ნაკლებად დადებით გავლენას ახდენს მის განვითარებაზე, ხოლო რესპონდენტების 31.5% ფიქრობს, რომ ამ ფაქტს უარყოფითი გავლენა აქვს ზუგდიდის განვითარებაზე. რაც შეეხება რესპონდენტების დარჩენილ ნაწილს, 18.5%-ს უჭირს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გეოგრაფიული სიახლოვის გავლენის შეფასება, ხოლო 3.5% უარყოფს რაიმე კავშირის არსებობას ქალაქის განვითარებასა და მის აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასთან გეოგრაფიულ სიახლოვეს შორის.

დიაგრამა N3-სა და N4-ზე წარმოდგენილია გამოკითხული მოსახლეობის აზრი იმასთან დაკავშირებით, თუ რა სახის დადებითი და უარყოფითი თანმდევი ფაქტორები ახლავს თან ზუგდიდში ცხოვრებას.

**დიაგრამა N3**




როგორც დიაგრამა N3-ზე ჩანს, კითხვაზე, თუ რა ტიპის დადებითი თანმდევი ფაქტორები ახასიათებს ზუგდიდში ცხოვრებას, გამოიკვეთა 4 პასუხი, რომლებიც რესპონდენტების მხრიდან ყველაზე ხშირად სახელდებოდა:

1. სასიამოვნო სოციალური გარემო; მეგობრებთან და ნაცნობებთან დროის სასიამოვნოდ გატარება - გამოკითხულთა 35.7%;
2. სასიამოვნო სამეზობლო გარემო, რომელიც ამარტივებს ქალაქ ზუგდიდში ცხოვრებას - გამოკითხულთა 33.8%;
3. გამოკითხულთა 24.2% ამბობს, რომ ზუგდიდში ცხოვრებას უფრო მეტად უარყოფითი თანმდევი ფაქტორები ახლავს ვიდრე დადებითი;
4. გამოკითხულთა 21% კი ზუგდიდში თავს უსაფრთხოდ გრძნობს, რაც მათთვის მნიშვნელოვან დადებით ფაქტორად აღიქმება.

განვიხილოთ დიაგრამა N4:

**დიაგრამა N4**




დიაგრამაზე წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, შესაძლებელია გამოვყოთ ზუგდიდის მაცხოვრებლების აღქმით სამი ყველაზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ფაქტორი, რომელიც ზუგდიდში ცხოვრებას ახლავს. ესენია:

1. გამოკითხულთა ყველაზე დიდი ნაწილი (59.9%) უმუშევრობის პრობლემას უსვამს ხაზს და ამბობს, რომ ზუგდიდში ცოდნისა და გამოცდილების შესაბამისი სამუშაო ადგილის პოვნა საკმაოდ რთულია;
2. რესპონდენტების 40.4% არასასიამოვნო სოციალური გარემოს პრობლემაზე საუბრობს და ამბობს, რომ ზუგდიდში თავისუფალი დროის სასიამოვნოდ გატარება შეუძლებელია;
3. გამოკითხულთა 22.9% კი ამბობს, რომ ზუგდიდში ცხოვრება მისთვის უფრო დადებით ფაქტორებთან ასოცირდება ვიდრე უარყოფითთან.

დიაგრამა N3-სა და N4-ზე წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, გამოკითხულთა 40.4% საუბრობს ზუგდიდში არსებულ არასასიამოვნო სოციალურ გარემოზე. ამის პარალელურად, გამოკითხულთა 35.7% ამბობს, რომ ზუგდიდში ცხოვრება სასიამოვნო სოციალურ გარემოში ცხოვრებას ნიშნავს, რაც თავისუფალი დროის სასიამოვნოდ გატარების შესაძლებლობას იძლევა. როგორც ჩანს, გამოკითხულთა შორის ორი სრულიად საწინააღმდეგო აზრის მქონე საკმაოდ დიდი ქვეჯგუფი არსებობს. მათი ერთი ნაწილი დადებითად, ხოლო მეორე ნაწილი უარყოფითადაა განწყობილი იმ გარემოს მიმართ, რომელში ცხოვრებაც გამოკითხულ მოსახლეობას უწევს.

ინფორმაცია იმის შესახებ, თუ მიმდებარედ არსებულ რომელ ქალაქებს სტუმრობს ყველაზე ხშირად ზუგდიდის მოსახლეობა წარმოდგენილია დიაგრამა N5-ზე.

**დიაგრამა N5**




როგორც დიაგრამაზე ჩანს, გამოკითხული მოსახლეობის ყველაზე დიდი ნაწილი - 34.4% ყველაზე ხშირად ქალაქ ქუთაისს სტუმრობს, 27.7% - ზესტაფონს, 12.4% - ფოთს, 12.1% - ქობულეთს, 11.8% - სენაკს, 1.3% - სამტრედიას, ხოლო გამოკითხულთა 0.3% კი ყველაზე ხშირად ლანჩხუთს სტუმრობს.

**დიაგრამა N6**




დიაგრამა N6-ზე წარმოდგენილია ზემოთ ჩამოთვლილ ქალაქებში ვიზიტის ძირითადი მიზეზები. როგორც მონაცემებიდან ჩანს, ზუგდიდის გამოკითხული მოსახლეობა ყველაზე ხშირად ნათესავებთან და მეგობრებთან სტუმრობის მიზნით ტოვებს ქალაქს (25.5%), რესპონდენტთა 22.6%-სთვის სტუმრობის მიზეზს ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული მომსახურების მიღება წარმოადგენს. გამოკითხულთა აგრეთვე 22.6% ასახელებს, რომ მიმდებარე ქალაქებს ძირითადად დასვენება-გართობისთვის სტუმრობს, ხოლო გამოკითხულთა 15% სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების მიზნით გარკვეული პერიოდულობით ტოვებს ზუგდიდს.

დიაგრამა N7-ზე წარმოდგენილია მოსახლეობის შეფასების შედეგად მიღებული ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ რა ცვლილებების მოტანა შეუძლია ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის აშენებას ზუგდიდისთვის.

**დიაგრამა N7**




გამოკითხულთა აზრი მეტწილად ერთგვაროვანია იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი შედეგები ექნება მის მშენებლობას ზუგდიდის განვითარებაზე. რესპონდენტების უმრავლესობა შესაძლო პოზიტიურ შედეგებზე საუბრობს. წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, გამოკითხულთა 86.9%-ის აზრით ანაკლიის პორტის მშენებლობის დასრულება და ექსპლოატაციაში გაშვება გამოიწვევს ზუგდიდის ეკონომიკის ზოგად გაძლიერებას, 68.8% ფიქრობს, რომ ანაკლიაში პორტის არსებობა გაზრდის დასაქმების შესაძლებლობას ზუგდიდში, ხოლო 36.6%-ის აზრით პორტის არსებობა შეცვლის ზუგდიდის დემოგრაფიულ სურათს, კერძოდ, გაზრდის მოსახლეობის რაოდენობას.

დიაგრამა N8 მიმოიხილავს იმ საკითხს, თუ რა დამოკიდებულება აქვს ზუგდიდის გამოკითხულ მოსახლეობას, ზოგადად, ამა თუ იმ ქალაქის განვითარებაში გენერალური გეგმის არსებობის მნიშვნელობასთან დაკავშირებით.

**დიაგრამა N8**




გამოკითხული მოსახლეობის 79%-ის აზრით ქალაქის განვითარებისთვის გენერალურის გეგმის არსებობა მნიშვნელოვანი ფაქტორია, 13.4% თვლის, რომ გენერალურ გეგმას ქალაქის განვითარებაში გარკვეული წვლილის შეტანა შეუძლია, თუმცა არც თუ გადამწყვეტი მნიშვნელობის მატარებლად განიხილავს მას, ხოლო რესპონდენტთა 2.5% გენერალური გეგმის არსებობა-არარსებობის საკითხს ვერ აკავშირებს ქალაქის განვითარებასთან და ამბობს, რომ მას არავითარი გავლენის მოხდენა არ შეუძლია ქალაქის განვითარებაზე.

**დიაგრამა N9**




დიაგრამა N8-ზე მოცემული ინფორმაციის თანახმად, გამოკითხულთა დიდი ნაწილის აზრით (79%) ცალკეული ქალაქის ზოგადი განვითარებისთვის მნიშვნელოვანია გენერალური გეგმის არსებობა. დიაგრამა N9-ზე წარმოდგენილი მონაცემები სრულ

თანხვედრაშია წინა აბზაცში მოცემულ შედეგებთან. მართლაც, რესპონდენტების 92% თვლის, რომ ზუგდიდს სჭირდება გენერალური გეგმა, რაც მისი სწორად განვითარების წინაპირობად შეიძლება მოგვევლინოს. მხოლოდ გამოკითხულთა 1% თვლის, რომ ზუგდიდის განვითარებისთვის გენერალური გეგმის არსებობა საჭირო არ არის, ხოლო გამოკითხულთა 7% თავს იკავებს კითხვაზე პასუხის გაცემისგან.

**დიაგრამა N10**




დიაგრამა N10-ზე წარმოდგენილია ზუგდიდის გამოკითხული მოსახლეობის აზრი ქალაქში მცხოვრები ტიპური მოსახლის ცხოვრების დონის ცვლილების შესახებ შემდეგი 10 წლის განმავლობაში. მიღებული მონაცემები წარმოადგენს ზუგდიდის მოსახლეობის მოლოდინებს არსებულ ტენდენციებზე დაკვირვებით.

როგორც მონაცემებიდან ირკვევა გამოკითხულთა 44% მოელის მომავალი 10 წლის მანძილზე ზუგდიდის ტიპური მოსახლის ცხოვრების დონის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას, ხოლო 31% ცხოვრების დონის მხოლოდ მცირედ გაუმჯობესებას მოელის. გამოკითხული მოსახლეობის 12% თავს იკავებს სამომავლო ცხოვრების დონესთან დაკავშირებული პროგნოზის გაკეთებისგან. რაც შეეხება დარჩენილ 13%-ს, მოცემული ნაწილი მომავლის მიმართ პესიმისტურადაა განწყობილი და ფიქრობს, რომ ცხოვრების დონე მნიშვნელოვლად (9%) ან მცირედით (4%) გაუარესდება.

## დასკვნა

- ზუგდიდის მოსახლეობის გამოკითხული ნაწილი შესაძლოა ორ დიდ ქვეჯგუფად დაიყოს. მათი ერთი ნაწილი ზუგდიდში არსებულ სოციალურ გარემოს მკაცრად დადებითად - გამოკითხულთა 40.4%, ხოლო მეორე ნაწილი - გამოკითხულთა 35.7% ზუგდიდსი არსებულ სოციალურ გარემოს მკაცრად უარყოფითად აფასებს;
- მოსახლეობის დიდი ნაწილი საუბრობს უმუშევრობის პრობლემასთან დაკავშირებით. მართლაც, გამოკითხულთა 59.9% ამბობს, რომ ზუგდიდში ცოდნისა და გამოცდილების შესაბამისი სამუშაოს მოძებნა რთულია
- მიღებული მონაცემების მიხედვით, ზუგდიდის გამოკითხული მოსახლეობის დიდი ნაწილი ყველაზე ხშირად იმერეთის რეგიონს სტუმრობს. მიღებული შედეგების მიხედვით რესპონდენტების 34.4% ყველაზე ხშირად ქალაქ ქუთაისს, ხოლო 27.7% ქალაქ ზესტაფონს სტუმრობს. სხვადასხვა ქალაქში სტუმრობის მიზეზები ორ დიდ ჯგუფში ერთიანდება - დასვენება-გართობა და საქმიანი ვიზიტები.
- ანაკლიის პორტის დასრულებისა და მისი ექსპლოატაციაში გაშვების პერსპექტივას რესპონდენტების დიდი ნაწილი ოპტიმისტურად აღიქვამს. გამოკითხულები ზუგდიდისთვის შემდეგი სახის სარგებლის მიღებას მოელიან: ეკონომიკის გაჯანსაღება (86.9%), დასაქმების შესაძლებლობის გაზრდა (68.8%) და დემოგრაფიული სურათის გაუმჯობესება - ზუგდიდის მოსახლეობის ზრდა (გამოკითხულთა 36.6%).
- რესპონდენტების დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ გენერალური გეგმის არსებობა მნიშვნელოვანია როგორც ზოგადად, ნებისმიერი ცალკე აღებული ქალაქისთვის, ისე კონკრეტულად ზუგდიდისთვის. მართლაც, გამოკითხულთა 92.4% ფიქრობს, რომ გენერალური გეგმის არსებობა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანია ნებისმიერი ცალკეული ქალაქის განვითარებისთვის, ხოლო გამოკითხულების 92% კონკრეტულად ზუგდიდის გენერალური გეგმის არსებობას მიიჩნევს მოცემული ქალაქის სწორად განვითარებისთვის აუცილებელ ფაქტორად.
- მიუხედავად ყველა იმ უარყოფითი ფაქტორისა, რომელსაც ზუგდიდის მოსახლეობის გამოკითხული ნაწილი კითხვარის შევსებისას უსვამს ხაზს, რესპონდენტების უმრავლესობა მომავლის მიმართ მაინც ოპტიმისტურადაა განწყობილი და ფიქრობს, რომ ზუგდიდის ტიპური მოსახლის ცხოვრების დონე მომდევნო 10 წლის მანძილზე მეტად თუ ნაკლებად გაუმჯობესდება. როგორც მიღებული მონაცემებიდან ვნახთ, ასეთი მოსახლეობის პროცენტული წილი 75%-ს შეადგენს